აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
ACADEMIC BOARD OF AKAKI
TSERETELI STATE UNIVERSITY

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი
ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო
6 ივნისი, 2022

დადგენილება №60 (21/22)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების თაობაზე

„სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების 30-ე მუხლისა და სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსის მე-9 თავის შესაბამისად **უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. გამოცხადდეს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსი.
2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი ჩატარდეს 2022 წლის 1 ივლისს.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 15 დღის განმავლობაში. რეგისტრაცია დაიწყოს 2022 წლის 11 ივნისიდან და დასრულდეს 2022 წლის 25 ივნისს 18.00 საათზე.
4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ორგანიზებულად ჩატარება.
5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, პირველი კორპუსი, ოთახი №1138, 10.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე.
6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი უნდა იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი.
7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე არჩევის მსურველებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:
   ა) განცხადება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
   ბ) ბიოგრაფიული მონაცემები (CV)
   გ) სამოქმედო გეგმა
   დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი
   ე) აკადემიური თანამდებობის დამადსტურებელი დოკუმენტი (ცნობა)
8. დადგენილება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
9. დადგენილების განთავსება თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე) დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
10. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის,პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.
11. დადგენილება დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. როლანდ კოპალიანი